საქართველოს პრეზიდენტის

ბრძანებულება №96

1999 წლის 12 მარტი

ქ. თბილისი

საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციასა და მათთვის შესაბამისად საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობებისა და პასპორტების, უცხოელ მოქალაქეთა ბინადრობის მოწმობებისა და საზღვარგარეთ გასასვლელი პირადობის მოწმობების გაცემასთან დაკავშირებული საქმიანობის სრულყოფის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციასა და მათთვის შესაბამისად საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობებისა და პასპორტების, უცხოელ მოქალაქეთა ბინადრობის მოწმობებისა და საზღვარგარეთ გასასვლელი პირადობის მოწმობების გაცემასთან დაკავშირებული საქმიანობის სრულყოფის გადაუდებელ ღონისძიებათა განხორციელების მიზნით:

1. ქვეყნის შიგნით პირადობის დამადასტურებელი საბუთის ძალა ყოფილი საბჭოთა კავშირის სიმბოლიკიან პასპორტებს შეუნარჩუნდეს 2006 წლის 15 ივლისამდე და მათი ამოღება განხორციელდეს ეტაპობრივად აღნიშნულ ვადაში.

საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 13 დეკემბრის ბრძანებულება №515 - სსმ III, №133, 18.12.2001წ., მუხ.957
საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 19 დეკემბრის ბრძანებულება №614 - სსმ III, №146, 22.12.2003წ., მუხ.1189
საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 24 მაისის ბრძანებულება №178 - სსმ III, №54, 25.05.2004წ., მუხ.455
საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 9 სექტემბრის ბრძანებულება №385 - სსმ III, №98, 09.09.2004წ., მუხ.845
საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 27 აპრილის ბრძანებულება №255 - სსმ III, №51, 27.04.2005წ., მუხ.527
საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 24 ივნისის ბრძანებულება №551 - სსმ III, №77, 29.06.2005წ., მუხ.815
საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 24 აგვისტოს ბრძანებულება №714 - სსმ III, №99, 25.08.2005წ., მუხ.1112
საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 27 ოქტომბრის ბრძანებულება №853 - სსმ III, №125, 27.10.2005წ., მუხ.1390
საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 1 მარტის ბრძანებულება №178 - სსმ III, №28, 01.03.2006წ., მუხ.339

2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ (კ. თარგამაძე), ფინანსთა სამინისტრომ (დ. ონოფრიშვილი), საგარეო საქმეთა სამინისტრომ (ი. მენაღარიშვილი), იუსტიციის სამინისტრომ (ლ. ჭანტურია) სხვა დაინტერესებულ სამინისტროებსა და უწყებებთან ერთად „საქართველოში ფიზიკურ და იურიდიულ პირთა იდენტიფიცირებისა და პერსონი-ფიცირების ერთიანი საინფორმაციო კომპიუტერული სისტემის დანერგვის“ სამთავრობო კომისიის მონაწილეობით შეისწავლონ და განსაზღვრონ საქართველოს მთავრობასა და საფრანგეთის ფირმა „ფრანსუა შარლ ობერტურ ფიუდისერს“ შორის გაფორმებული კონტრაქტის გაგრძელების მიზანშეწონილობა. ამასთანავე უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების მოზიდვის ხარჯზე უზრუნველყონ ერთიანი საინფორმაციო-საძიებო

კომპიუტერული სისტემის დანერგვა და საიდენტიფიკაციო-სარეგისტრაციო მონაცემთა ცენტრალიზებული ბანკის შექმნა.

ნება დაერთოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტენდერში გამარჯვებულ ფირმასთან გააფორმოს კონტრაქტი საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობებისა და პასპორტების, უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა ბინადრობის მოწმობებისა და საზღვარგარეთ გასასვლელი პირადობის მოწმობების დასამზადებლად.

3. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ :

ა) შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად უზრუნველყოს უცხოეთში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეთა რეგისტრაციის, მათთვის პირადობის მოწმობებისა და პასპორტების გაცემის აღრიცხვის ერთიანი საინფორმაციო-საძიებო სისტემის დანერგვა დაქვემდებარებულ დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში;

ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელ მუშაკთა მონაწილეობით უზრუნველყოს მოკლევადიანი სწავლება-სემინარის გამართვა საზღვარგარეთ მოქმედ საქართველოს საკონსულო დაწესებულებათა პასუხისმგებელი მუშაკებისათვის.

4. საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტრომ (ს. ესაკია) ორგანიზაცია გაუწიოს შინაგან საქმეთა საქალაქო და რაიონული ორგანოების საპასპორტო-სავიზო და მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახურების აღჭურვას კავშირგაბმულობის სათანადო საშუალებებით, რისი დაფინანსებაც, შესაბამისად, უზრუნველყონ შინაგან საქმეთა სამინისტრომ და მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა.

5. ქ. თბილისის მერიამ (ვ. ზოდელავა) წარმოადგინოს წინადადებები შინაგან საქმეთა სამინისტროს საპასპორტო-სავიზო და მოსახლეობის რეგისტრაციის ეროვნული ბიუროსათვის 1991-92 წლების ცნობილი მოვლენების შედეგად განადგურებული შენობის სანაცვლოდ დედაქალაქის ცენტრალურ ნაწილში შესაფერისი არასაცხოვრებელი კაპიტალური ნაგებობის გამოყოფის თაობაზე.

6. მხარეებში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულებმა, ქალაქების მერებმა, რაიონების გამგებლებმა ხელი შეუწყონ შინაგან საქმეთა ადგილობრივ ორგანოებს საპასპორტო რეფორმის მაღალორგანიზებულად წარმართვაში, რისთვისაც:

ა) უმოკლეს ვადაში განახორციელონ ქმედითი ღონისძიებები შინაგან საქმეთა ორგანოების საპასპორტო-სავიზო და მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახურების შესაფერის შენობებში განსათავსებლად და კავშირგაბმულობის საშუალებებით მათი აღჭურვის დასაფინანსებლად;

ბ) დაინტერესებული ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით მოსახლეობაში გასწიონ სათანადო ახსნა-განმარტებითი მუშაობა ყოფილი საბჭოთა კავშირის სიმბოლიკიანი პასპორტების ამ ბრძანებულებით გათვალისწინებულ ვადებში გამოცვლის უზრუნველსაყოფად;

გ) რაიონებისა და ქალაქების მოსახლეობის სოციალური პირობების, ტერიტორიული სირთულეებისა და თავისებურებების გათვალისწინებით, სოფლებში საკრებულოების, ხოლო ქალაქებში ქუჩების მიხედვით, შეიმუშაონ რეფორმის მიმდინარეობის სპეციალური გრაფიკები და დაუწესონ კონტროლი მის შესრულებას.

7. საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტმა (ვ. ჩხეიძე) 1999 წლის 1 მაისიდან არ დაუშვას საქართველოს მოქალაქეთა დსთ-ის წევრ ქვეყნებში გასვლა სსრკ სიმბოლიკიანი პასპორტებით.

8. საქართველოს ტრანსპორტის სამინისტრომ (მ. ადეიშვილი) და რკინიგზის, საჰაერო, საავტომობილო, საზღვაო-სანაოსნო დეპარტამენტებმა უზრუნველყონ მათდამი დაქვემდებარებული და შესაბამისი კერძო სტრუქტურების ინფორმირება ბრძანებულების მე-7 პუნქტის მოთხოვნათა შესრულების აუცილებლობის თაობაზე.

9. (ძალადაკარგულია).

საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 17 ივნისის ბრძანებულება №377 - სსმ III, №30(37), 25.06.1999წ., მუხ.538

ე. შევარდნაძე

შეტანილი ცვლილებები:

1. საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 17 ივნისის ბრძანებულება №377 - სსმ III, №30(37), 25.06.1999წ., მუხ.538

2. საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 13 დეკემბრის ბრძანებულება №515 - სსმ III, №133, 18.12.2001წ., მუხ.957

3. საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 19 დეკემბრის ბრძანებულება №614 - სსმ III, №146, 22.12.2003წ., მუხ.1189

4. საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 24 მაისის ბრძანებულება №178 - სსმ III, №54, 25.05.2004წ., მუხ.455

5. საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 9 სექტემბრის ბრძანებულება №385 - სსმ III, №98, 09.09.2004წ., მუხ.845

6. საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 27 აპრილის ბრძანებულება №255 - სსმ III, №51, 27.04.2005წ., მუხ.527

7. საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 24 ივნისის ბრძანებულება №551 - სსმ III, №77, 29.06.2005წ., მუხ.815

8. საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 24 აგვისტოს ბრძანებულება №714 - სსმ III, №99, 25.08.2005წ., მუხ.1112

9. საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 27 ოქტომბრის ბრძანებულება №853 - სსმ III, №125, 27.10.2005წ., მუხ.1390

10. საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 1 მარტის ბრძანებულება №178 - სსმ III, №28, 01.03.2006წ., მუხ.339